აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 12

17 სექტემბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თამარ ხოზრევანიძე, ასლან ჩავლეიშვილი, გია გარსევანიშვილი, თამაზ შარმანაშვილი, თენგიზ ცინცქილაძე, ლევან გაბრიჩიძე, მამუკა ჯაში, დავით რობაქიძე და ავთანდილ ჩახვაძე.

სხდომას არ ესწრებოდა: კომისიის წევრები ქეთევან ჯიქია და ირაკლი გვარამია.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი და აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დღის წესრიგში შეტანილი უნდა იქნას ცვლილება, ვინაიდან სხდომას არ ესწრებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივანი ქეთევან ჯიქია, რომელიც საარჩევნო კანომდებლობის შესაბამისად თავმჯდომარესთან ერთად ხელს აწერს უმაღლეს საარჩევნო კომისიის მიერ მიღებულ აქტებს, იქიდან გამომდინარე, რომ სხდომას არ ესწრება კომისიის მდივანი საჭიროა მის უფლებამოსილების განხორციელებამდე არჩეული იქნა კომისიის მდივნის მოვალეობის შემსრულებელი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს დღის წესრიგის ცვლილებით დამტკიცებასთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის შენიშვის გათვალისწინებით დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 10;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 10 წევრი.

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. განკარგულება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის მოვალეობის შემსრულებლის არჩევის შესახებ;

(მომხ. ა. მიქელაძე)

2. განკარგულება
№81 ქობულეთის საარჩევნო ოლქის №55 საარჩევნო უბანის №10 საარჩევნო უბანზე მიერთების შესახებ;

(მომხ. თ. შარმანაშვილი)

3. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ;

(მომხ. თ. შარმანაშვილი)

1. განკარგულება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის მოვალეობის შემსრულებლის არჩევის შესახებ;

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიას გააცნო, რომ სხდომას არ ესწრებოდა კომისიის მდივანი ქ. ჯიქია, და აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, თუ საარჩევნო კომისიის მდივანს არ შეუძლია კანონით განსაზღვრული მოვალეობების შესრულება და შესასრულებელია ისეთი მოქმედება, რომელიც თავმჯდომარის ან მდივნის განსაკუთრებულ უფლებამოსილებას მიეკუთვნება, კომისია თავისი შემადგენლობიდან კანონით დადგენილი წესით ირჩევს კომისიის მდივნის მოვალეობის შემსრულებელს. მან აღნიშნა, გამომდინარე იქიდან, რომ კომისიის მდივანი ქ. ჯიქია ვერ ახერხებს თავისი უფლებამოსილების განხორციელებას, საჭიროა მისი უფლებამოსილების განხორციელებამდე მოხდეს კომისიის მდივნის მოვალეობის შემსრულებლის არჩევა. ასევე განმარტა კანდიდატის დასახელების პროცედურები და კომისიას მიმართა მდივნის მოვალეობის შემსრულებლის კანდიდატის დასახელების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებმა ასლან ჩავლეიშვილმა და გია გარსევანიშვილმა კომისიის მდივნის მოვალეობის

შემსრულებლის კანდიდატურად დაასახელეს კომისიის წევრი თამარ ხოზრევანიძე.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება კომისიის მდივნის მოვალეობის შემსრულებლად თამარ ხორევანიძის არჩევის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 10;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 10 წევრი

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 27-ე მუხლის მე-5 პუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. თამარ ხოზრევანიძე არჩეული იქნას უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივანის მოვალეობის შემსრულებელად უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივანის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელებამდე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

2. განკარგულება
№81 ქობულეთის საარჩევნო ოლქის №55 საარჩევნო უბანის №10 საარჩევნო უბანზე მიერთების შესახებ.

მოისმინეს: მომხსენებელმა თამაზ შარმანაშვილმა კომისიის წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ 2008 წლის 15 სექტემბერს უსკო-ში შემოვიდა №81 ქობულეთის საარჩევნო ოლქის თავმჯდომარის წარდგინება №3-2008, რითაც იგი შუამდგომლობს უსკო-ს წინაშე №10 საარჩევნო უბანზე №55 სააარჩევნო უბნის მიერთებას, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თავისი წარდგინება დეტალურად გააცნო №81 ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს, რის შემდეგაც მომხსენებელმა თამაზ შარმანაშვილმა აღნიშნა, რომ გამონაკლის შემთხვევაში, საქართველოში გამართული ბოლო არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შესაბამის საარჩევნო ოლქებში

დამატებით ან განსხვავებულ საზღვრებში საარჩევნო უბნის შექმნის საკითხს წყვეტს უსკო შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის წარდგინების საფუძველზე. ასევე აღნიშნა, რომ როგორც წესი საარჩევნო უბნების საზღვრები იგივეა, რაც საქართველოში გამართული ბოლო არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში შესაბამის საარჩევნო ოლქებში შექმნილი საარჩევნო უბნების საზღვრები, იქიდან გამომდინარე, რომ ადგილობრივი თვითმართველობისა და საქართველოს პარლამენტის ბოლო არჩევნებისას ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა №81 ქობულეთის საარჩევნო ოლქში შემავალ №10 საარჩევნო უბანზე 1500 ამომრჩეველს აღემატებოდა მოხდა მისი გაყოფა და შეიქმნა №55 საარჩევნო უბანი. №55 საარჩევნო უბნის შექმნა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ №10 საარჩევნო უბანში ამომრჩეველთა ერთიან სიაში შედიოდნენ იძულებით გადაადგილებული პირები. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ როგორც წარმოდგენილი შუამდგომლობით ირკვევა, მოცემულ მომენტში №10 საარჩევნო უბანზე რეგისტრირებულია 1002 ამომრჩეველი, ხოლო №55 საარჩევნო უბანზე 301 ამომრჩეველი. მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ დღეის მდგომარეობით აღნიშნული გარემობა აღარ არსებობს, რის საფუძველზეც მიზანშეწონილია №55 სააარჩევნო უბანი მიუერთდეს №10 საარჩევნო უბანს თავისის საზღვრებით. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 10;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 10 წევრი.

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის, №81 ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისიის

თავმჯდომარის 2008 წლის 11 სექტემბრის №3-2008 წერილის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის №81 ქობულეთის საარჩევნო ოლქის №55 საარჩევნო უბანი მიუერთდეს №10 საარჩევნო უბანს.

2. ამ განკარგულების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს მეორე დღისა, ქობულეთის №81 საოლქო საარჩევნო კომისიამ უზრუნველყოს სათანადო ცვლილების განხორციელება შესაბამის განკარგულებაში.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: მომხსენებელმა თამაზ შარმანაშვილმა კომისიის წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის თანახმად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს არჩევნების ორგანიზებისათვის საჭირო საარჩევნო საბუთების სახეს. მომხსენებელმა კომისიას წარუდგინა უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საერთაშორისო, ადგილობრივი დამკვირვებლისა და პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლის სააკრედიტაციო ბარათის ფორმები. ისაუბრა წარმოდგენილი ფორმების შესახებ, მათ გამოყენების წესებზე და პირობებზე. და აღნიშნა, რომ უმაღლეს საარჩევნო კომისიაში აკრედიტირებულ პრესისა და სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლებს უფლება აქვთ დაესწრონ არჩევნების პროცესის მიმდინარეობას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ ნებისმიერ საარჩევნო ოლქსა და უბანში. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 10;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 10 წევრი

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. დამტკიცდეს შემდეგი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმები თანდართული ნიმუშების მიხედვით:

ა) უმაღლეს საარჩევნო კომისიაში, ადგილობრივი დამკვირვებლის მოწმობა (ფორმა 6-07.24.01);

ბ) უმაღლეს საარჩევნო კომისიაში, საერთაშორისო დამკვირვებლის მოწმობა (ფორმა №6-07.25.01);

გ) უმაღლეს საარჩევნო კომისიაში, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლის სააკრედიტაციო ბარათი (ფორმა №6-07.26.01).

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სხდომაზე სხვა საკითხი არ განხილულა.

კომისიის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი თ. ხოზრევანიძე